

მხარეთა შორის უთანხმოებისას, მედიატორის უფლება-მოვალეობების
ფარგლები კერძო მედიაციის პროცესში

დეა კუპრეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო ბიზნეს სამართალი

ხელმძღვანელი: გიორგი კეკელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დეა კუპრეიშვილი

2022 წელი

აბსტრაქტი

კერძო მედიაცია საქართველოში განვითარების პირველ ნაბიჯებს დგამს, სწორედ ამიტომ, მის მიმართ საზოგადოების მხრიდან ნდობის ფაქტორი დაბალია. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საზოგადოებას ნაკლები ინფორმაცია გააჩნია კერძო მედიაციის უპირატესობების შესახებ.

საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში მედიაციისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, ამოქმედდა მედიაციის შესახებ კანონი, რომლითაც გაიმიჯნა კერძო და სასამართლო მედიაცია, იურიდიული ძალა მიენიჭა სამედიაციო შეთანხმებასა და სამედიაციო მორიგებას, აგრეთვე დაარსდა საქართველოს მედიატორთა ასოციაცია, შეიქმნა მედიატორთა ეთიკის კოდექსი და დამტკიცდა მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება.

ნაშრომის დაკვირვების საგანს წარმოადგენდა კერძო მედიაციის პროცესში მედიატორის უფლება-მოვალეობის ფარგლების შესწავლა მხარეთა შორის უთანხმოების არსებობისას. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე გამოყენებულია სამართლებრივი და ისტორიულ-შედარებითი, მედიაციის ისტორიული განვითარების, კერძო მედიაციის არსისა და მედიატორის უფლება-მოვალეობების შესასწავლად. კვლევა ხაზს უსვამს კერძო მედიაციის საჭიროებასა და მის აქტუალურობას.

საკვანძო სიტყვები: კერძო მედიაცია, მედიაცია, მედიატორი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა, მედიატორის გამოწვევები.

Abstract

Private mediation is taking the first steps of development in Georgia, that is why the public's trust factor towards it is low. This is due to the fact that the public has less information about the advantages of private mediation.

During the last two years, significant changes have been made to mediation in Georgia. In particular, the law on mediation was enacted, which distinguished between private and court mediation, the legal force was given to the mediation agreement and mediation settlement, as well as the association of mediators of Georgia, was established, and the code of ethics of mediators was created and the regulation of disciplinary proceedings of mediators was approved.

The subject of observation of the paper was the study of the scope of rights and duties of the mediator in the private mediation process in the presence of disagreements between the parties. Examples of different countries are used to study the legal and historical-comparative, historical development of mediation, the essence of private mediation, and the rights and duties of the mediator. The research emphasizes the need and relevance of private mediation.

Key words: private mediation, mediation, mediator, alternative dispute resolution, mediator's challenges.